



შუახევის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-295
23/05/2019

295-07-4-201905231135



**შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს დებულების
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს დებულება თანდართული დანართის მიხედვით.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ომარ ტაკიძე

მუნიციპალიტეტის მერი - მ.შ.

ხელმძღვანელობა

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი 1. მიზნები და ამოცანები

1. მრჩეველთა საბჭოს მიზანი და ფუნქციაა ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას; საგანმანათლებლო საქმიანობა ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას.

2. მიზნის მისაღწევად ახალგაზრდული პოლიტიკა უზრუნველყოფს:

2.1 საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობას.

2.2 ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას;

2.3 ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;

2.4 სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მათი უფლებების დაცვას და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერას.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიმართულება

1. საბჭოს საქმიანობის მიმართულებაა:

1.1 განათლება და დასაქმება.

1.2 სპეციალური საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერა და დაცვა.

1.3 ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

1.4 სოციალური დახმარება.

2. საბჭო შეიმუშავებს და წარუდგენს რეკომენდაციებს შემდეგ საკითხებზე:

2.1 განათლებისა და დასაქმების მიმართულებით:

2.1.1 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და პროგრამები: ახალგაზრდების ინფორმირება პროფესიული და უმაღლესი, აგრეთვე სპეციალური პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობათა შესახებ;

2.1.2. ინოვაციების წახალისება;

2.1.3 ახალგაზრდების ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებში;

2.1.4 შრომის ბაზრიდან ინფორმაციის მოპოვება, მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციური დამსაქმებლების ინფორმირება;

3 სპეციალური საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერისა და დაცვის მიმართულებით: რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობების და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობა კულტურულ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

4 ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიმართულებით:

4.1 ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და განათლების დონის გაზრდა.

4.2 დასვენების და გართობის ადგილების მოწყობა.

4.3 ახალგაზრდების დასვენებასა და გართობაზე მიმართულ პროგრამები, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ფიზიკური აქტივობა და რეკრეაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

4.4 ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში ჩაბმა, სპორტული ინფრასტრუქტურის გაფართოება, გაუმჯობესება და ადაპტირება.

4.5 ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია სპორტული აქტივობების, მასობრივი კამპანიებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით.

4.6 ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშემწყობი მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება და ინიცირება.

5 სოციალური დახმარების მიმართულებით:

5.1 კვლევაზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული სოციალური დახმარებისა და სხვა სოციალური პროგრამების განხორციელება რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით.

5.2 სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა მიზნობრივი სოციალური დახმარების და სხვა სოციალურ პროგრამებზე.

5.3 ახალგაზრდა ოჯახებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და სხვა სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობა.

მუხლი 3. შექმნა, შემადგენლობა მართვა

1. საბჭოს იქმნება შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

2. საბჭო შედგება არანაკლებ 15 წევრისგან, რომელთაგან ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50% +/- 1-ზე მეტი/ნაკლები.

3. საბჭო შედგება შუახევის მუნიციპალიტეტის ერთი ადმინისტრაციული ერთეულიდან არანაკლებ ერთი წევრისგან, სახელმწიფო საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.

4. საბჭოს ჰყავს საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. საბჭოს თავმჯდომარეს 6 თვის ვადით ირჩევს საბჭო, თავმჯდომარის მოადგილეს კი ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით.

5. საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესს განსაზღვრავს საბჭო.

6. საბჭოს თავმჯდომარე:

6.1 ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს

6.2 საბჭოს მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად აძლევს დავალებებს საბჭოს წევრებს.

6.3 უზრუნველყოფს საბჭოს კომუნიკაციას მუნიციპალიტეტთან და სხვა ორგანიზაციებთან.

6.4 იწვევს საბჭოს სხდომებს.

მუხლი 4. საბჭოს მუშაობა

1. საბჭოს სხდომა იმართება კვარტალში ერთხელ მაინც, შესაძლებელია რიგგარეშე სხდომის მოწვევა.

2. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

2.1 საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით.

2.2 მერის ინიციატივით.

2.3 საბჭოს არანაკლებ 3 წევრის ინიციატივით.

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. საბჭო გადაწყვეტილებას ღებულობს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 5. საბჭოს იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა და წევრის სტატუსი.

1. საბჭო არის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და არ აქვს სამართლებრივი სტატუსი.

2. საბჭოს წევრობა ნებაყოფლობითია. საბჭოს წევრს არ აქვს საქათველოს შრომითი/სამეწარმეო კანონმდებლობით განსაზღვრული სტატუსი.

3. საბჭოს წევრის მუშაობა არ ანაზღაურდება.


მუხლი 6. საბჭოს გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების სამართლებრივი შედეგი

საბჭოს გადაწყვეტილება/რეკომენდაცია სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ წარმოშობს შესასრულებლად აუცილებელ შედეგს.

მუხლი 7. საბჭოს მუშაობის ხელშეწყობა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს საქმიანობას ხელს უწყობს და ორგანიზებაში დახმარებას უწევს შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით გამოყოფს სხდომის ჩატარების ადგილს, უზრუნველყოფს ტექნიკითა და საკანცელარიო მასალებით.

ომარ ტაკიძე



მუნიციპალიტეტის მერი - მ.შ.
ხელმძღვანელობა